საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა
და სოციალური დაცვის სამინისტრო
MINISTRY OF LABOUR, HEALTH AND SOCIAL AFFAIRS OF GEORGIA

KA030103021968317

საქართველო, თბილისი 0159; აკ.წერეთლის გამზ. 144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ფაქსი:(+995 32) 251 00 19; ცხელი ხაზი:(+995 32) 251 00 33; 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge

144 Ak.Tsereteli ave., 0159, Tbilisi, Georgia; Tel.: (+995 32) 251 00 11; Fax:(+995 32) 251 00 19;Hot line:(+995 32) 251 00 33; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

№ 01/7677 **08 / თებერვალი / 2017 წ.**

საქართველოს ფინანსთა მინისტრის
მოადგილეს ბატონ გიორგი კაკაურიძეს

ბატონო გიორგი,

როგორც თქვენთვის ცნობილია, „სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულების ნაწილობრივი სუბსიდირების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 ივლისის N381 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს დაევალა მის მიერ ადმინისტრირებად „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ რეგისტრირებულ იმ ოჯახებზე, რომელთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მაჩვენებელი სარეიტინგო ქულა ტოლია ან არ აღემატება 70 000 - ს (სოციალურად დაუცველი ოჯახები), გასცეს სუბსიდია მოხმარებული ელექტროენერგიის მიხედვით, ტარიფის ზრდის შესაბამისი პერიოდისა და ტარიფის ზრდის შედეგად გამოწვეული დამატებითი თანხის ოდენობის გათვალისწინებით.

გაცნობებთ, რომ სს „ენერგო-პრო ჯორჯია“-ს მიმდინარე წლის 27 იანვრის N2221212 წერილით 2016 წლის დეკემბრის თვეში დასაფინანსებლად გადმოგზავნილია 71 858 აბონენტის სუბსიდირების მოცულობა, ხოლო თანხა 258 927 ლარი.

ზემოაღნიშნული დადგენილების მე-6 მუხლის საფუძველზე, გთხოვთ, საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოგვიყოთ 258 927 ლარი საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსათვის გათვალისწინებული „მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარება“ პროგრამის (პროგრამული კოდი- 35 02 02) „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლით გათვალისწინებულ ასიგნებაში.

პატივისცემით,

მინისტრის მოადგილე ვალერი კვარაცხელია